პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცლის თარგმანი შეესაბამება მის ADB.org-ზე გამოქვეყნებულ ინგლისურ ვერსიას 2017 წლის 13 აპრილის მდგომარეობით.

ADB ASIAN DEVELOPMENT BANK

საქართველო: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 6

პროექტის დასახელება	ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 6
პროექტის ნომერი	43405-028
ქვეყანა	საქართველო
პროექტის სტატუსი	მოქმედი
პროექტის ტიპი/ დახმარების ფორმა	სესხი
დაფინანსების წყარო / ოდენობა	**სესხი 3441-GEO: ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 6** ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსები 99.00 მლნ. აშშ დოლარი
სტრატეგიული მიზნები	ეკოლოგიურად მდგრადი განვითარება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა
ცვლილების გამომწვევი ფაქტორები	მმართველობისა და შესაძლებლობების განვითარება ინფორმირებული გადაწყვეტილებები
სექტორი/ ქვესექტორი	**წყალი და სხვა ურბანული ინფრასტრუქტურა და მომსახურება** - ურბანული წყალარინება - ურბანული წყალმომარაგება
გენდერული თანასწორობა და აქტუალიზაცია	ეფექტური გენდერული მიდგომა
აღწერა	მე-6 პროექტით დაფინანსდება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მარნეულში, ბოლნისსა და ჭიათურაში. პირველი კომპონენტი მოიცავს (i) წყალმომარაგებისა და კანალიზაციის

	სისტემების მშენებლობას მარნეულში კანალიზაციის გამწმენდი ახალი დანადგარის ჩათვლით; (ii) კანალიზაციის სისტემის მშენებლობას ბოლნისში კანალიზაციის გამწმენდი ახალი დანადგარის ჩათვლით; და (iii) წყალმომარაგების სისტემისა და კანალიზაციის გამწმენდი ახალი დანადგარის მშენებლობას ჭიათურაში. მე-6 პროექტი სასარგებლო იქნება დაახლოებით 37,380 ადამიანისთვის მარნეულში, 9,000 ადამიანისთვის ბოლნისში და 15,400 ადამიანისთვის ჭიათურაში. მეორე კომპონენტი მოიცავს პროექტის განხორციელების მხარდაჭერას.
პროექტის არსი და მისი კავშირი ქვეყნის/რეგიონის სტრატეგიასთან	საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდება წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებები საქართველოს რეგიონული ქალაქების ურბანულ ცენტრებში. საინვესტიციო პროგრამა მოიცავს (i) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებების რეაბილიტაციისა და გაფართოების მიზნით; (ii) ორგანიზაციული რესურსების დაგეგმვას და მართვას კომუნალური მომსახურების ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და ინვესტიციის გრძელვადიანი შენარჩუნებისთვის; და (iii) საინვესტიციო პროგრამის მართვისა და განხორციელების მხარდაჭერას. საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 4.93 მილიონს (2013), საიდანაც 53% განსაზღვრულია, როგორც ურბანული და ემსახურება რეგიონის სავაჭრო ნაკადების მნიშვნელოვან საკვანძო წერტილებს, რომლებიც სამხრეთ კავკასიას და ზღვაზე გასასვლელის არმქონე ცენტრალურ აზიას შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზებთან აკავშირებს. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) შეადგენს15.98 მილიარდ დოლარს (2012). საქართველოს ზოგადი ეკონომიკური პერსპექტივა დადებითია მშპ-ის მოსალოდნელი 5.5% ზრდით 2014, და 6.0% ზრდით 2015 წელს. სტრუქტურული რეფორმები, რომელთა მიზანს უფრო მაღალი ხარისხის სახელმწიფო ინვესტიციები წარმოადგენს, მოსალოდნელია, რომ გაზრდის პროდუქტიულობას და დააჩქარებს წარმოებასა და სავაჭრო საქონლის ზრდას. მოსალოდნელია სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდა ამ სექტორის სამთავრობო მხარდაჭერის ზრდის ხარჯზე. ასევე მოსალოდნელია მომსახურებების ზრდაც ტრანსპორტის, კომუნიკაციისა და ფინანსური შუამავლობის სექტორების ზრდასთან ერთად. ფიზიკური ინფრასტრუქტურის მზარდ მოთხოვნაზე რეაგირების მიზნით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სხვადასხვა ინიციატივები წამოიწყო, კერძოდ ქვეყანაში წყალმომარაგებისა და წყალარინების გაუმჯობესების ინტერვენციების სახით. სამინისტრომ შეიმუშავა *ურბანული წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების გეგმა*, რომლის მიზანია 2020 წლისთვის უზრუნველყოს სრულიად საქართველოს ურბანული მოსახლეობის უწყვეტი და უსაფრთხო

წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურება. წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორის განვითარების გეგმის მიზნებია: (i) ტექნიკური მდგრადობა და გარემოს დაცვა; (ii) ინსტიტუციური და ფინანსური მდგრადობა; და (iii) სათანადო საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა. განვითარების გეგმის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად მთავრობის ურბანული წყალმომარაგებისა და წყალარინების საინვესტიციო გეგმა მოიცავს ფიზიკურ და არაფიზიკურ ინვესტიციებს.

წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებას ამჟამად ახორციელებს კომუნალური მომსახურების სამი კომპანია: (i) "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWPC), რომელიც ემსახურება თბილისს და რუსთავს (ქვეყნის მოსახლეობის 31.8%); (ii) ბათუმის წყლის კომპანია და აჭარის ადგილობრივი თვითმმართველობები, რომლებიც აჭარის ავტონომიურ რეგიონს ემსახურებიან (ქვეყნის მოსახლეობის 8.6%); და (iii) შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (UWSCG), რომელიც ქვეყნის დარჩენილ ნაწილს ემსახურება (ქვეყნის მოსახლეობის 58.5%). ეკონომიკურ რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

მთავრობის მიერ განვითარების მიზნით შემოთავაზებული ეკონომიკური ზრდის ყველაზე მეტი ცენტრი მდებარეობს რეგიონში, რომელსაც შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" ემსახურება. ამ რეგიონში ურბანული მოსახლეობის მხოლოდ 69.7%-ს აქვს წყალსადენი და მხოლოდ 15.5%-თვის არის ხელმისაწვდომი კანალიზაციის სისტემა. კანალიზაცია ბადისებრი ქსელიდან ყოველგვარი დამუშავების გარეშე უშუალოდ მდინარეებში ან არხებში ჩაედინება. საინვესტიციო პროგრამის სოციალურ-ეკონომიკური კვლევები (რომლებიც მოიცავდა წყალმომარაგებისა და წყალარინების სტრატეგიებსა და გადახდის სურვილს) გვიჩვენებს, რომ წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებები არათანაბარია და სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს ღარიბ და დევნილ მოსახლეობაზე.

შემოთავაზებული საინვესტიციო პროგრამა შეესაბამება ზოგადი ზრდის კონტექსტს და მცდელობას მოახდინოს ინფრასტრუქტურის მზარდ საჭიროებებზე მორგება. პროგრამის მიზანია წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებების გაუმჯობესება პრიორიტეტულ ქალაქებში - ანაკლია, ქუთაისი, მარნეული (მათ შორის ბოლნისი), მესტია, ფოთი, ზუგდიდი, ურეკი და ჭიათურა დაახლოებით 364,200 ადამიანის (ბოლნისის და ჭიათურის ჩათვლით) სასარგებლოდ (UWSCG-ის რეგიონის ურბანული მოსახლეობის xx%). პროგრამა ასევე სრულფასოვნად გააუმჯობესებს წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებას შერჩეულ ეკონომიკურ ცენტრებში

	იმის ნაცვლად, რომ გადაანაწილოს მცირე ინვესტიციები და შეამციროს შედეგები. საინვესტიციო პროგრამა შეესაბამება მთავრობის წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების გაუმჯობესების პროგრამას ადგილობრივ თვითმმართველობებში სამართლებრივი, ეკონომიკური და ფინანსური სქემების ეფექტური განხორციელების მეშვეობით.
მნიშვნელობა	საქართველოს რეგიონულ (პროგრამით განსაზღვრულ) ქალაქებში მოსახლეობის გაუმჯობესებული ჯანმრთელობა.

პროექტის შედეგები

შედეგების აღწერა	გაუმჯობესებული წყალმომარაგების და წყალარინების მომსახურება საქართველოს რეგიონულ ქალაქებში.
წინსვლა შედეგების მისაღწევად	მიმდინარეობს შესყიდვები ჭიათურის წყალმომარაგების სისტემის და მარნეულის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობისთვის. ხელშეკრულებების გაფორმება იგეგმება 2017 წლის მე-3-მე-4 კვარტალში

განხორციელების პროგრესი

პროექტის პროდუქტების აღწერა	წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების გაუმჯობესებული ეფექტურობა რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების შედეგად. პროექტის განხორციელების მხარდაჭერისა და საზოგადოების ინფორმირების პროგრამა განხორციელებულია ეფექტურად, გავრცელებული ინფორმაცია ჰიგიენისა და სანიტარიის შესახებ.
განხორციელების პროგრესის სტატუსი (შედეგები, საქმიანობა, და პრობლემები)	ჯერ არ არის ინფორმაცია. ჯერ არ არის ინფორმაცია.
გეოგრაფიული მდებარეობა	

უსაფრთხოების კატეგორიები

გარემო	B
იძულებითი განსახლება	C

მკვიდრი მოსახლეობა	C

გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები

გარემოსდაცვითი ასპექტები	მე-6 პროექტს მინიჭებული აქვს B კატეგორია, რადგან იგი არ ახდენს მნიშვნელოვან და შეუქცევადი ხასიათის ზემოქმედებას გარემოზე მშენებლობის ან შემდგომ პერიოდში.
იძულებითი განსახლება	2010 წლის 17 დეკემბერს მთავრობამ დაამტკიცა დოკუმენტი განსახლების შესახებ, რომელსაც ეყრდნობა ყველა პროექტის სოციალური დაცვის მექანიზმები. ზემოქმედების განსაზღვრის მიზნით განხორციელდა იძულებითი განსახლების შეფასება, რის შედეგადაც მე-6 პროექტს მიენიჭა C კატეგორია.
მკვიდრი მოსახლეობა	საინვესტიციო პროგრამის ტერიტორია არ მოიცავს ხალხს, ADB---ის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებით (2009) შეიძლება განისაზღვროს, როგორც მკვიდრი მოსახლეობა, შესაბამისად მკვიდრ მოსახლეობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით პროექტს მინიჭებული აქვს C კატეგორია.

დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია, მათი მონაწილეობა და კონსულტაცია

პროექტის შემუშავების პროცესში	ჯერ არ არის ინფორმაცია.
პროექტის განხორციელების პროცესში	ჯერ არ არის ინფორმაცია.

კომერციული შესაძლებლობები

საკონსულტაციო მომსახურება	ხარისხსა და ფასზე დაფუძნებული მეთოდით შერჩეული (QCBS) მშენებლობის ზედამხედველობის ერთი საკონსულტაციო ხელშეკრულება (331 ადამიანი-თვე) - 4.72 მლნ. დოლარი. ყველაზე დაბალი ფასით (LCS) შერჩეული ერთი აუდიტორული საკონსულტაციო ხელშეკრულება (12 ადამიანი-თვე) - 0.59 მლნ. დოლარი.
შესყიდვები	საერთაშორისო კონკურენტული ვაჭრობის (ICB) მეთოდით შერჩეული სამშენებლო სამუშაოების ერთი ხელშეკრულება მარნეულის კანალიზაციის სისტემისთვის ბოლნისის კანალიზაციის სისტემის ჩათვლით (68.44 მლნ. დოლარი)

	საერთაშორისო კონკურენტული ვაჭრობის (ICB) მეთოდით შერჩეული პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ერთი ხელშეკრულება მარნეულის, ბოლნისისა და ჭიათურის კანალიზაციის გამწმენდი დანადგარებისთვის (24.19 მლნ. დოლარი) საერთაშორისო კონკურენტული ვაჭრობის (ICB) მეთოდით შერჩეული სამშენებლო სამუშაოების ერთი ხელშეკრულება ჭიათურის წყალმომარაგების სისტემისთვის (11.80 მლნ. დოლარი)

პასუხისმგებელი თანამშრომლები

ADB-ის პასუხისმგებელი პირი	პეტრონე, მასიმო
ADB-ის პასუხისმგებელი დეპარტამენტი	ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი
ADB-ის პასუხისმგებელი განყოფილება	ურბანული განვითარების და წყლის განყოფილება (CWRD)
აღმასრულებელი უწყებები	**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო** **ზურაბ ალავიძე/ირაკლი მატკავა** ინგოროყვას ქ. #7. 0134, თბილისი, საქართველო

გრაფიკი

კონცეფციის დამტკიცება	-
ინფორმაციის შეგროვება	-
ხელმძღვანელობის შეხვედრა (MRM)	2016 წ. 2 აგვისტო
დამტკიცება	2016 წ. 4 ოქტომბერი
ბოლო განხილვის მისია	-
პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცლის ბოლო განახლება	2017 წ. 31 მარტი

სესხი 3441-GEO

საკვანძო მოვლენები

დამტკიცება	**ხელმოწერა**	**ძალაში შესვლის თარიღი**	**დახურვა**		
			საწყისი	**გადასინჯული**	**მოქმედი**
2016 წ. 4 ოქტ.	2016 წ. 15 დეკ.	2017 წ. 2 მარტი	2019 წ. 30 სექტ.	-	-

დაფინანსების გეგმა		**სესხის ათვისება**			
	სულ (მლნ. აშშ დოლარი)	თარიღი	ADB	სხვა	წმინდა პროცენტი
პროექტის ღირებულება	117.00	ხელშეკრულებების გაფორმება ჯამში			
ADB	99.00	2016 წ. 4 ოქტ.	0.00	0.00	0%
თანამონაწილეობა	18.00	ჯამში გაცემული			
თანადაფინანსება	0.00	2016 წ. 4 ოქტ.	0.00	0.00	0%

პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია პროექტის ან პროგრამის შესახებ: იმის გამო, რომ პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელი წარმოადგენს სამუშაო დოკუმენტს, გარკვეული ინფორმაცია შეიძლება არ შევიდეს მის თავდაპირველ ვერსიაში, თუმცა ინფორმაციის დამატება მოხდება მას შემდეგ, რაც იგი გახდება ხელმისაწვდომი. ინფორმაცია შემოთავაზებული პროექტების შესახებ წინასწარი და საორიენტაციო ხასიათისაა.

პროექტის მონაცემთა აღწერის ფურცელში წარმოდგენილ ინფორმაციას ADB იძლევა მხოლოდ და მხოლოდ რესურსის სახით, ყოველგვარი გარანტიის გარეშე. მაშინ, როდესაც ADB ცდილობს, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის შინაარსი, ინფორმაცია მოწოდებულია „უცვლელად“, რაიმე სახის გამოხატული თუ ნაგულისხმევი გარანტიის, მათ შორის, შეუზღუდავად, სავაჭრო ვარგისიანობის, კონკრეტული მიზნისთვის გამოსადეგობის თუ საავტორო უფლებების დაცვის გარანტიის გარეშე. ADB არ იძლევა რაიმე გარანტიას და არ აკეთებს განცხადებებს ნებისმიერი ამგვარი ინფორმაციის სიზუსტისა თუ სისრულის თვალსაზრისით.